ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

IV კვარტალი, 2021

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში-სამინისტრო) ევროკავშირთან ერთად ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანიას 2021 წლის მეოთხე კვარტალშიც აგრძელებდა. კამპანიის მიზანია ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საფრთხეებისა და სამინისტროს მიერ ამ კუთხით განხორციელებული რეფორმების და მიღწეული შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში მოიაზრება: კიბერდანაშაული, კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგი და ნარკოდანაშაული. კამპანიის ფარგლებში ხდება პირისპირ, ონლაინ შეხვედრები და მზადდება ვიდეორგოლები ტელევიზიებში და სოციალურ მედიაში განთავსებისთვის. გარდა ამისა, სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმებსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის „Facebook“ და „Instagram“ გვერდებზე ინტენსიურად ქვეყნდება ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ევროკავშირის მხარდაჭერით ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კამპანიის ფარგლებში დამზადდა - 4 (მხატვრული) ვიდეორგოლი, რომელიც ემსახურება ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნული კლიპები 2022 წელს ჩაეშვება, როგორც სატელევიზიო ეთერებში, ასევე სოციალურ ქსელში. 2021 წლის მეოთხე კვარტალში ევროკავშირის მხარდაჭერით დაბეჭდილია ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პრომო მასალები.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი -112

- 2021 წლის 3 დეკემბერი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ,,112“ ოფიციალურ „Facebook“ გვერდზე გამოქვეყნდა საინფორმაციო ბანერი შშმ პირებისთვის არსებული სერვისების მაქსიმალური ხელმისაწვდომობისთვის განხორციელებული ორი მნიშვნელოვანი პროექტის შესახებ:
  კერძოდ, გადაუდებელ შემთხვევებში, ერთიან სატელეფონო ნომერზე - 112-ზე ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს შეუძლიათ დაკავშირება მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ვიდეოზარის საშუალებით, სკაიპის გამოყენებით. აღნიშნული სერვისი უფასოა და

ხელმისაწვდომია მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში. სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია ვებგვერდზე: www.112.gov.ge შშმ პირებისგან მიღებული შეტყობინების მართვა ხორციელდება ცვლაში მომუშავე ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის დახმარებით.
112-ის მობილური აპლიკაცია, რომელსაც აქვს ინიციატორის ლოკაციის განსაზღვრის შესაძლებლობა. აპლიკაცია გახმოვანდა და ადაპტირდა მხედველობის არმქონე პირებისთვის. აღნიშნული სერვისის საშუალებით, უსინათლო მომხმარებლებს შეუძლიათ, გაგზავნონ ჩუმი განგაშის სიგნალი - "SOS", ჩატის საშუალებით დაუკავშირდნენ ოპერატორს და განახორციელონ ზარი აპლიკაციიდან.
iOS: https://apple.co/39feFlV
Android: https://bit.ly/3iJWO9B

- 2021 წლის 8 დეკემბერი - ,,112"-ის დირექტორი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის - უსაფრთხოების ზამთრის სკოლის მონაწილეებს შეხვდა და სტუდენტებს უსაფრთხოების მართვის ცენტრის საქმიანობა და გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებული ვითარება გააცნო.

<u>საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</u>

- 2021 წლის მეოთხე კვარტალში პოლონეთის რესპუბლიკის მხარდაჭერით გაგრძელდა და დასრულდა ცნობიერების ამაღლების კუთხით სატელევიზიო პროექტი. პროექტის ფარგლებში სატელევიზიო ეთერში გაშუქდა სხვადასხვა თემები: პროექტი "მოხალისე"; რა უნდა ვიცოდეთ ხანძარზე, მიწისძვრისა და წყალდიდობის შესახებ; როგორ უნდა მოვახდინოთ ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირება;
აღნიშნული გრანტის ფარგლებში დამზადდა საინფორმაციო ბანერები, რომლებიც განთავსდება ტყის მასივების შესასვლელებთან. საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების ელექტრონული ვერსია აიტვირთა ოფიციალურ საიტზე და ბეჭდური ვერსია დარიგდება სკოლებში.

- 2021 წლის 2 ნოემბერი - თბილისის 144-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს მეხანძრე-მაშველებმა ხანძრის დროს ქცევის წესები გააცნეს. მეხანძრე-მაშველები სკოლას სპეციალური აღჭურვილობით ესტუმრნენ და მოსწავლეებს შენობაში ხანძრის გაჩენის დროს მოქმედების წესები გააცნეს. მეხანძრე-მაშველებმა ისაუბრეს სახანძრო-სამაშველო ძალების ყოველდღიური საქმიანობის შესახებ. მე-3 კლასის მოსწავლეებთან შეხვედრა საინტერესოდ და აქტიური ჩართულობით ჩატარდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ცნობიერების ამაღლების მიზნით მსგავს ღონისძიებებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტენსიურად ახორციელებს.
- 2021 წლის 20 ნოემბერი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარები პროექტ - „მე გავხდები პროფესიონალის“ - ფარგლებში ესტუმრნენ. სახანძრო-სამაშველო ძალების

დეპარტამენტის წარმომადგენელმა ბენეფიციარებს სახანძრო ავტოცისტერნა დაათვალიერებინა და სამსახურის სპეციფიკა გააცნო. განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სტუმრებისთვის სამთო კედელზე გარკვეული საჩვენებელი სავარჯიშოები შეასრულეს.

- 2021 წლის მეოთხე კვარტალში ორგანიზება გაუკეთდა ორგანიზაციების სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილ პირთა საკონსულტაციო შეხვედრებს საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე. მომზადდა სანიმუშო მასალები საგანგებო მართვის გეგმების მომზადების თაობაზე და გადაეცათ მათ ელექტრონული სახით. (ა(ა)იპ კოლეჯი "განთიადი"; კოლეჯი შპს "ორიენტირის", სსიპ კოლეჯი "მოდუსის"). შესაბამისად მოხდა მათი გეგმების სამსახურთან შეთანხმება.

- სპეციალური სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა შშმ პირთა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც მიზნად ისახავდა სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ცნობიერების ამაღლებას;

- ქალაქ თბილისის №200 საჯარო სკოლაში საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო ქცევის წესებისა და რეაგირების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი სწავლება განახორციელა.
  სიმულაციური სწავლება პრაქტიკული ღონისძიებების დემონსტრირების გარდა, სკოლის პედაგოგებისა და ამავე სასწავლო დაწესებულების აღსაზრდელი შშმ ბავშვებისთვის საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო ქცევის წესების შესახებ საინფორმაციო ბრიფინგი ჩატარდა. სწავლების ფარგლებში, მეხანძრე-მაშველებმა წინასწარი სცენარის მიხედვით, "დაშავებულები" სხვადასხვა მეთოდით გამოიყვანეს შენობიდან, ასევე, რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში ურბანულ ხანძარზე მოქმედების დემონსტრირებაც მოახდინეს.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

- 2021 წლის 11 ოქტომბერი - სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები, სამინისტროს საინფორმაციო კამპანიის - „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებს და წარმომადგენლებს შეხვდნენ. საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ბავშვობის ასაკში ქორწინება, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები, არსებული ტენდენციები და სამინისტროს მიდგომები ამ ტიპის დანაშაულისადმი. 15 ოქტომბერს - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ფცის საჯარო სკოლაში ამავე კამპანიის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა მასწავლებლებთან და დამამთავრებელი კლასის 20 მოსწავლესთან. 22 ოქტომბერს კი თბილისის სკოლა ,,ლომისი 1”-ის მოსწავლეებთან შეხვედრა. მოსწავლეებს

ინფორმაცია მიეწოდათ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ბავშვობის ასაკში ქორწინება, მისი გამომწვევი მიზეზები, საზოგადოების როლი ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგების, ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულების და მსგავსი ტიპის დანაშაულებისადმი სამინისტროს მიდგომები.

- 2021 წლის 15 ნოემბერი - თანასწორობის კვირეულის ფარგლებში, კოლეჯში ,,მოდუსი" სტუდენტებთან შეხვედრა გამართეს სამინისტროსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ქვემო ქართლის რეგიონულმა წარმომადგენლებმა.

  შეხვედრაზე სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ისაუბრეს თანასწორობის მნიშვნელობაზე, დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, გენდერულ თანასწორობასა და სხვა საინტერესო საკითხებზე. სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ისაუბრა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე და აღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდა 25 მოსწავლე და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

- 2021 წლის 16, 17 და 22 ნოემბერი -საქართველოს უნივერსიტეტის სკოლის მოსწავლეებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები დისკრიმინაციის და თანასწორობის საკითხებზე. მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია თანასწორობის მნიშვნელობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. შეხვედრებს ჯამში 100-მდე მოსწავლე დაესწრო.

- 2021 წლის 22 ნოემბერი - თანასწორობის კვირეულის ფარგლებში, მუხრანის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა შეხვედრა. შეხვედრაზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და მცხეთის პოლიციის წარმომადგენელმა ისაუბრეს თანასწორობის მნიშვნელობაზე, დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, გენდერულ თანასწორობასა და სხვა საინტერესო საკითხებზე.

- 2021 წლის 22 ნოემბერი - პლატფორმის „Zoom" გამოყენებით გაიმართა ,,საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმთა სისტემური რუკის" ანგარიშის პრეზენტაცია, საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმთა სისტემური რუკის ანგარიში აანალიზებს სიძულვილის ენის გავლენას საზოგადოების წევრებზე; მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომ სასამართლოს მიღმა არსებულ პოლიტიკას, ინსტრუმენტებსა და დაცვის მექანიზმებს; ასევე, როლს, რომელსაც ასრულებენ სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სუბიექტები სიძულვილის ენისა და შესაბამისი გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. აღნიშნული ანგარიში მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, სამინისტროების, სასამართლოს, სახალხო დამცველის

აპარატისა და პარლამენტის წარმომადგენლების კონტრიბუციას და მიზნად ისახავს საქართველოში სიძულვილის ენის წინააღმდეგ საბრძოლველად სამომავლო ნაბიჯებისთვის საჭირო ელემენტების იდენტიფიცირებას და პრიორიტეტიზაციას, ყოვლისმომცველი მიდგომის მეშვეობით, რომელიც ასახულია ECRI-ის GPR 15-ში.

- 2021 წლის 6 დეკემბერი - ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია, ერთი მხრივ, სექსუალური ძალადობის აქტუალურ საკითხებზე და მეორე მხრივ, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის თაობაზე.

- 2021 წლის 7 დეკემბერი - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში. შეხვედრას ესწრებოდნენ ჯანდაცვის და სოციალური სამსახურის, იურიდიული სამსახურის, შიდა აუდიტისა და გენდერული საბჭოს წევრები, სოციალური კომიტეტის თავმჯდომარე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილული იქნა ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით რაიონში არსებული ვითარება და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები, ხაზი გაესვა უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობას ქალთა მიმართ ყველა ფორმის ძალადობის დაძლევის მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა 23 მონაწილე.

- 2021 წლის 8 დეკემბერი - საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩატარდა საჯარო ლექცია - საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ. იგივე თემატიკაზე, საჯარო ონლაინ ლექცია ჩატარდა ,,Brussels School of Governance“ სტუდენტებთან, ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისა და სამმართველოს თანამშრომლის მიერ.

<u>საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი</u>

- 2021 წლის 23 დეკემბერი - სამინისტროში ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის პრევენციის მიზნით, აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით მომზადებული ვიდეორგოლის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციაზე სტუმრად მოწვეულ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, მინისტრის მოადგილემ და სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა უმასპინძლეს.

  აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით მომზადებული ვიდეორგოლი, სლოგანით - „მთვრალი საჭესთან მკვლელია“, 2021 წლის 24 დეკემბრიდან სოციალური რეკლამის სტატუსით 9 ტელეარხზე განთავსდა.

შსს მომსახურების სააგენტო

- საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით 2021 წელს დაამტკიცა მართვის მოწმობის გამოცდის რეალურ პირობებში ჩაბარების და მოპედების რეგისტრაციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილება. სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, 2021 წლის 17 ნოემბრიდან აქტიურად დაიწყო აღნიშნული პროექტის ფარგლებში საინფორმაციო კამპანიის განხორციელება.
  2021 წლის 17 ნოემბრიდან 26 ნოემბრის ჩათვლით მომსახურების სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მიერ დაგეგმილი და შესრულებული სატელევიზიო ეთერები:

  1. გადაცემაში სტუმრობა - 6;
  2. პირდაპირი ეთერი - 3;
  3. რადიოში სატელეფონო ჩართვა - 3;
  4. სიუჟეტი - 2.

  სასაუბრო თემატიკა მოიცავდა, როგორც მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში გამოცდის ჩაბარებას, ასევე, ახალი, "AM" კატეგორიის (მოპედი და მსუბუქი კვადროციკლი) სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციასა და შესაბამისი მართვის უფლების მოპოვებას. მომსახურების სააგენტომ მოიცვა, როგორც ადგილობრივი, ასევე, რეგიონული მედია. შეირჩა ორი სპიკერი ადგილობრივი მედიისთვის, ასევე, 2 სპიკერი რეგიონული მედიისთვის. მომსახურების სააგენტომ მოიცვა სატელევიზიო, „Facebook" და რადიო არხები.

- მიმდინარე წლის 17 ნოემბრიდან 6 დეკემბრის ჩათვლით, მომსახურების სააგენტოს „Facebook" გვერდზე განთავსდა გრაფიკული საინფორმაციო ბანერები:

  1. საქართველოს პარლამენტის მიერ პროექტის დამტკიცების შესახებ - 1 ბანერი;
  2. მოპედებისა და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაციასთან და მართვის მოწმობასთან დაკავშირებული - 3 ბანერი;
  3. რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში პრაქტიკული გამოცდის ჩაბარებასთან დაკავშირებული - 1 ბანერი;
  4. ახალი, "A2" ქვეკატეგორიის შემოღებასთან დაკავშირებული - 1 ბანერი;
  5. გავრცელებული პრეს რელიზებისთვის საჭირო - 2 ბანერი.

  მომსახურების სააგენტო კამპანიის ფარგლებში აგრძელებს „Facebook" გვერდზე აქტივობებს. აქტიურ რეჟიმში გრძელდება პროექტის ფარგლებში არსებული სიახლეების შესახებ საინფორმაციო ბანერების გამოქვეყნება.

ასევე, მომსახურების სააგენტომ დაასრულა მუშაობა სამ გრაფიკულ ვიდეორგოლზე, რომლებიც განთავსდება სააგენტოს „Facebook" გვერდზე.

საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

- სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესახებ მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტი - "ახალი წელი ზღვაში და ქვეყნის ტერიტორიული წყლების ყველაზე საპასუხისმგებლო მისია". სიუჟეტში შეჯამებული იყო სანაპირო დაცვის 2021 წლის პროგრესი. განსაკუთრებით აღინიშნა თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, საერთაშორისო თუ მრავალეროვნულ სწავლებებში მონაწილეობა და საპორტო ვიზიტები შავ ზღვაში.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი

- 2021 წლის 26 დეკემბერს, სატელევიზიო ეთერში გავიდა სიუჟეტი „მშვიდობის დამცველები" - სადაც დეტალურად იყო აღწერილი სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საქმიანობა. სიუჟეტის საშუალებით მოქალაქეებს მიეწოდათ ინფორმაცია, თუ რა საქმიანობას ასრულებს ყოველდღიურ რეჟიმში განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, მაგ: რა მისიას ასრულებს საოკუპაციო ხაზთან, რა როლი აკისრიათ ანტიკრიმინალური ღონისძიებების პროცესში, რა სახის წვრთნებს გადიან ყოველდღიურად და სხვა.